

საქართველოს კანონი

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №14 , მუხ. 50) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, შესაბამისად, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი